საჯარიმომ გადაწყვიტა

ტაშკენტი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.
“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

შეხვედრა ნელი ტემპით დაიწყო. შეიძლება ეს იმითაც აიხსნას, რომ მატჩის დღეს ძალიან ცხელოდა. თვდაპირველად ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ გუნდებს სურვილიც კი არ გააჩნდათ იერიშისა. მხოლოდ დროდადრო აქტიურობდა ორივე გუნდი, მაგრამ მცველები აშკარად ჩაგრავდნენ თავდამსხმელებს. პირველი ტაიმის 25–ე წუთიდან თბილისელებმა გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, უფრო გაშლილად, გრძელი გადაცემებით დაიწყეს თამაში. ერთ–ერთი იერიშის დროს ჭილაიამ კარგ პოზიციაში გადასცა ბურთი კოპალეიშვილს. ამ უკანასკნელმა დაახლოებით 18 მეტრიდან ბურთი ძლიერად დაარტყა “ფახთაქორის” კარისკენ. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ იმარჯვა ტაშკენტელთა მეკარემ ჩეჩიკინმა. შესვენებამდე საგოლე მომენტები შეექმნათ შენგელიას და კოსტავას, მაგრამ ბურთი ორივეჯერ მიზანს ასცდა.

მეორე ტაიმის პირველ 15 წუთს გუნდები კვლავ უსიცოცხლოდ და უფერულად თამაშობდნენ. შემდეგ თბილისელებმა კვლავ მცირე უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ შედეგი არც ამას მოჰყოლია. მატჩის დამთავრებას 11 წუთი რომ აკლდა, ტაშკენტელი ერემეევი შეიჭრა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. გოგიამ ისღა მოახერხა, რომ “ფახთაქორის” მოთმაშეს ხელით სწვდა ფეხებში და დაინიშნა 11–მეტრიანი საჯარიმო. ჯარიმა ტაშკენტელმა ანმა კარგად გამოიყენა და “ფახთაქორს” გამარჯვება მოუტანა.

მართალია, შემდეგ თბილისელები თავგამოდებით იბრძოდნენ წონასწორობის აღდგენისთვის, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. პირიქით, ტაშკენტელი ფიოდოროვი სახიფათოდ გავიდა “დინამოს” კარის ახლოს, მაგრამ ამ შემთხვევაში გოგიამ კარგად ითამაშა და თბილისელთა კარი მეორე გოლს გადაურჩა.

“დინამომ” ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, ჭილაია (გ. მაჩაიძე), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, დარასელია, ჩელებაძე (გუცაევი), შენგელია.

მ. ფარხუდინოვი (ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 12 აპრილი, 1977 წ.